წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 16 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 169

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე | 1916 წ. | წელიწადი მეორე | 1916 წ.

მიიღება ხელის მოწერა

# „საქართველო“

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 3 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან.
ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

## პრემიები:

1) **სალიტერატურო კრებული „მერანი“** გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.

2) **„საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“** წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ.

3) **საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.**

ცალკე მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა. სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

---

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის გაზეთ

# „სახალხო ფურცელზე“

გაზეთი სურათებიან დამატებით ღირს წელიწადში 9 მ. 50 კ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 მ. 50 კაპ., თვით 90 კაპ.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად**

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1916 წლის 1 აპრილამდე სრულიად გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ **პრემიას** ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ. თხზულების შინაარსი იქნება დაყოფილი თავებით შემდეგი: I ომი და მისი მიზეზები; II ერი და სახელმწიფო; III მუშათა კლასი და სოციალისტური ორგანიზაციები ომის წინად და ომში; IV ერი და დემოკრატია; V რეალური მოსახლეობა საქართველოში და საქ. ტერიტორია; VI კავკასიის ერები და მათი ურთიერთობა; VII ომის მიმოხილვა. თხზულების ავტორები: კ. აბაშიძე, ი. გედევანიშვილი, გრ. გველესიანი, გ. ლასხიშვილი, გ. მაიაშვილი, გ. რცხილაძე, გ. ქიქოძე, ს. ფირცხალავა, თ. ღლონტი ა. ჯაჯანაშვილი.
მისამართი: თბილისი, „სახალხო ფურცლის“ რედაქცია, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6.

---

პირველი წელი | პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

## კაზმული და სამხატვრო კრებული
# „მერანი“

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

**გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.**

---

## სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ესიკოვების **„კინო-რეკორდის“** თეატრში
(ვერის ხიდის ყურთან)

**ოთხშაბათს 16 ქრისტეშობისთვეს**

ქართულ დრამატიულ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სოფოკლეს დიდებული ტრაგედია, გ. გვაზავას მიერ ნათარგმნი

# ანტიგონე

წარმოდგენის დაწყებამდე **გრ. რობაქიძე** წაიკითხავს მოხსენებას ანტიური ტრაღედიისა და სოფოკლეს „ანტიგონეს“ შესახებ.
საღამოს 8 საათიდან მაყურებლებს უჩვენებენ სინემატოგრაფიულ სურათებს ორს განყოფილებად.

**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ., თოიძე ..., ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., გამყრელიძე ვ., გუნია ვალ., გოგოლაური ზაქ., იმედაშვილი ალ., ვარვარიძე ვ., მგალობლიშვილი, ჟივიძე, იოსებ. სარაული გ, ჭიაურელი გ.

ადგილების ფასი 15 კ. 1 მ. 50 კ.-მდე. ✦ ✦ დასაწყისი სალ. 8 საათზედ
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგად.
მორიგი წევრი გამგეობისა **შ. მესხიშვილი.**
**მეორე წარმოდგენა ოთხშაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს სახალხო სახლში.**
(3—16—3)

---

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

✦ პროვიზორის აბვლედიანისა ✦

---

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

თბილისის უმაღლეს ქალთა კურსების მსმენელი ქალი

## ეძებს გაკვეთილს,

ან ბინას, სადაც საჭიროა მასწავლებელი ქალი. მომზადება ყველა საგნებში (გარდა ენებისა) ყოველი კლასისათვის. უმთავრესად კი ქართულ ენაში. **მისამართი** იკითხეთ „საქართველოს“ რედაქციაში.
(15—11—15)

---

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

---

ქ. გორში

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

---

## სტუდენტი-ფილოლოგი

პეტროგრადის უნივერსიტეტისა

**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა **კლასისათვის.** სპეციალად რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ლათინური ენა და მათემატიკა.
**საჩქარო მომზადება პრაპორშჩიკების სკოლისათვის.**
პირობის გაგება შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.
(15—10)

---

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

---

## გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას
ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

## ი. თ. გვათუას კანტორა

✦ ვერის დაღმართი № 1 ✦
ტელეფონი 17—05

---

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

---

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

15 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** მთავრობის ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. შმარდეპის მიდამოებში, ზღვის ამრად, რუსებმა პარტიზანული რაზმები შეადგინეს და დილის 4 საათზე შეუმჩნევლად ეკვეთნენ მოპირდაპირის სანგრებს, რამდენიმე ადგილას მავთულების ხლართი გადასჭრა და ხელის ყუმბარები დააყარა. აქ მყოფთა უმეტესი ნაწილი გასწყვიტა, 6 კაცი ტყვედ წამოიყვანა. ნაწილმა თავს უშველა. თუმცა სამხრეთის მხრიდან ძლიერი სროლა აუტეხა მტერმა, მაგრამ რუსის რაზმი უვნებლად გამობრუნდა უკან. ჩარტორიისკის მიდამოებში, ახალ გოდჩუხევიჩის სასაფლაოსთან რუსებმა დაანგრიეს გერმანელების სადარაჯო და 16 კაცი ტყვედ წამოიყვანეს.

**შავ ზღვაზე.** ბულგარეთის სანაპიროებთან რუსების ნაღმოსნებმა 2 იალქნიანი გემი დალუპეს და სანაპიროებს ზარბაზანი დაუშინეს. მოპირდაპირის წყალქვეშას იერიში ნაღმოსანმა „გრომკი“-მ ზარბაზნის სროლით მოიგერია.

**კავკასიის ასპარეზი.** ქამადანის დასავლეთით რუსებმა აიღეს ქალაქი ასად-აბადი. თეირანის სამხრეთ-დასავლეთისაკენ 40 ვერსის მანძილზე, სოფ. რაბარქერიმთან რუსების ჯარს ბრძოლა ჰქონდა სპარსელ ჟანდარმებთან და ემარქიშმეტის ბრბოსთან. აქ რუსებმა ხელთ იგდეს 71 მეამბოხე.

—

**ლონდონი,** 13 ქრისტეშობისთვე. ოსმალთა უკანასკნელი ცნობა, ვითომც ტიგროსზე მათ დაეღუპნოთ ჩვენი ორი მონიტორი, სრულიად სიმართლეს მოკლებული ამბავია. არც ერთი შეიარაღებული გემი არ დაგვღუპვია გარდა ორი მარქაფა ნავისა, რომლის დატოვებაზედ ოფიციალ ცნობას ვიუწყებოდით 21 გიორგობისთვეს.

**რომი,** 14 ქრისტეშობისთვე. ბევრს ადგილას მხოლოდ საარტილერიო სროლა იყო, განსაკუთრებით ჯუდიკარის ღელეში.

**ლონდონი,** 14 ქრისტეშობისთვე. ლამასეს არხთან სანაღმო ბრძოლა გრძელდება, სადაც მტერმა ააფეთქა ნაღმი. სომის ჩრდილოეთით ჩვენი საარტილერიო სროლა საკმაო ზიანს აყენებდა მათს პოზიციებს აღმოსავლეთით. დანარჩენს ფრონტზე მხოლოდ უმნიშვნელო საარტილერიო სროლა იყო.

**პარიზი,** 13 ქრისტეშობისთვე. არტუაში ჩვენმა არტილერიამ მკვირცხლი მოქმედება დაიწყო ბაილის სამხრეთით ბლერვილის რაიონში და არასის სამხრეთით. შამპანში ნავარენის ფერმის რაიონში, ჩვენი ბატარეები მარჯვედ ესვროდნენ მტრის მუშებს. ვერვში ჩვენი არტილერიის ცეცხლით აფეთქებულ იქმნა მტრის თოფის წამლის საწყობი. ვოგეზებში იარაღით დატვირთულ მატარებელს მოვახვედრეთ ზარბაზანი და საგრძნობელი ზარალიც მივაყენეთ.

**ჰავრი,** 13 ქრისტეშობისთვე. იზერზე ორივე მხარემ სუსტი მოქმედება გამოიჩინა. ჩვენი არტილერია თამამად ესროდა მტრისას. რომელთაც ცეცხლი გაგვიჩინეს ლამპერნისისა და ულეკაპელის პოზიციებზე, აგრეთვე დიქსმიუდეს სექტორის პირველს ხაზზე.

**მთაშავეთი.**

**ცეტინიე.** მთავრობის ცნობა 13 ქრისტეშობისთვისა. სანჯაკში მთაშაველთა ჯარი წინ იწევს. მან აიღო

რამდენიმე სოფელი, რომელიც მტერს ჰქონდა დაპყრობილი. ავსტრიელებს დიდი ზარალი მოსდით. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე მხოლოდ ზარბაზნების სროლაა.

**საფრანგეთის ასპარეზი.**

**პარიჟი.** მთავრობის ცნობა. სოლუნის ნავთსადგურში, ზვერვის დროს, ფრანგების კრეისერმა სროლა აუტეხა ოსმალეთის სანაპიროებს და მოსპო ოსმალების ზარბაზნები. გემმა „პარიზ“-მა აგრეთვე სროლა აუტეხა ოსმალების ორ წყალქვეშას, რომელიც ბრძოლის შემდეგ მიეფარა.

**პარიჟი.** მთავრობის ცნობა. მთელი ღამის განმავლობაში თვალსაჩინო არაფერი მომხდარა. ლორენში ფრანგები ზარბაზნებს უშენდნენ ბიონკურისა და გრემესის მიდამოებში, შატოსალენის სამხრეთ-დასავლეთით მტრის მუშებს, რომლებიც სიმაგრეს აგებენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**დარდანელის გაწმენდის გამო.**

ინგლისური გაზეთი „Daily Chroncle“ სწერს: ვისაც კი ჩვენი მდგომარეობა სუვლასა და ანზაკში გაუთვალისწინებია, მან შვება უნდა იგრძნოს ამ პოზიციების განთავისუფლების გამო. საკვირველია, ეს მოვლენა დარდანელის გმირებს ეწყინებოდათ, მაგრამ ბევრი მათგანი შეიგნებს, რომ თვით იქ დახოცილთა პატივსაცემად, უმჯობესი იყო უკან დაგვეხივნა რათა შემდეგ სხვაგან სადმე შეგვებრძოლნა, ვიდრე გაჯიუტებით მთლად დავღუპულიყავითო.

**სპარსეთი**

**თეირანთან ბრძოლა.**

მდგომარეობა თეირანში გართულებულია. თეირანიდან 40 ვერსზე რუბად-კერიმთან რუსის და სპარსეთის ეროვნულ ჯარის შორის გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. მოწინააღმდეგის მხრით ამირ ქეშმეტას მეთაურობით იბრძვის 800 მოხალისე და 700 ჟანდარმი, რომელთაც შვედელები ხელმძღვანელობენ. სროლის ხმა თეირანამდე აღწევს. აჯანყებულებს გზა აქვთ მოჭრილი. უნდა დანებდნენ. ყაზვინში სამხედრო წესებია შემოღებული. სპარსეთის მინისტრებს ყოველდღე სხდომები აქვთ და დღევანდელ მომენტის შესახებ ბჭობენ.

**ქაშანის გზაზე.**

რუსის ჯარი ქაშანისაკენ მიემართება. მოპირდაპირის ჯარი სამხრეთ-დასავლეთისაკენ იხევს.

**ბაღდადის მხარეს.**

ინგლისელები ბაღდადისაკენ კვლავ იწევენ და რამდენიმე წართმეული სანგარი დაიბრუნეს.

**პანამის არხში.**

ნიუ-იორკიდან დეპეშით იტყობინებიან: აღმოაჩინეს ახალი შეთქმულება გერმანელების მოწყობილი. თურმე პანამის არხის აფეთქებას აპირებდნენ.

**მესოპოტამიაში.**

ინდოეთის საქმეთა მწარმოებელ მინისტრს განუცხადებია 5 ქრისტეშობისთვემდე გენერალ ტაუსენდის ჯარს 1127 მეომარი დაჰკლებიაო.

**ოსმალეთის ბერძნები.**

სევასტოპოლიდან იტყობინებიან: ოსმალეთის ქვეშევრდომ ბერძნებს ძველებურად გადააქვთ სურსათი ოსმალეთის და ბულგარეთის ნავთსადგურებში. ერთი დაღუპული ნავი საბერძნეთისა გამოდგა. ნავზე მყოფნი ყველანი გადარჩნენ.

**ბალკანეთში**

**სოლუნის გზა.**

სოლუნსა და ბულგარეთ შორის რკინის გზაზე მიმოსვლა შეწყდა, რადგანაც ინგლისელებმა და ფრანგებმა სოლუნ-ოქჩილარის ლიანდაგი გადასჭრეს.

**ცენტრალ სახელმწიფოთა ზარალი ბალკანეთში.**

როგორც „Berlingske Jidende“ ჟენევიდან ატყობინებენ ბალკანეთის კამპანიაში გერმანელების ზარალი შედეგია: 27,000 კაცი მოკლული, 43,000 დაჭრილი და 47,000 ავადმყოფი; ავსტრიელების 23,000 მოკლული. 58,000 დაჭრილი და 51,000 ავადმყოფი; ბულგარელებს 11,000 მოკლული, 32,000 დაჭრილი და 8,000 ავადმყოფი. ოსმალების 3,000 მოკლული, 8,000 დაჭრილი. მაშასადამე მთელი ზარალი ცენტრალ სახელმწიფოთა უდრის 64,000 მოკლულს, 157,000 დაჭრილს და 106,000 ავადმყოფს.

**რუსეთის ასპარეზი.**

**ტუკუმის დაცლა.**

როგორც „ბირჟ. ვედ.“ ატყობინებენ ტუკუმის დაცლა გერმანელების მიერ გრძელდება. გერმანელებს გააქვთ ყველაფერი: ძველი ჩვარი, ძველი რკინა და გამოუსადეგარი თუნუქის ყუთები. დატოვებულ ბინებიდან აფიცრობას გააქვს ყოველგვარი ნივთები: როიალი, ავეჯეულობა, სარკეები და გზავნიან გერმანიაში. თავისუფალ ყოფაქცევის ქალები დაატუსაღეს.

**კურლიანდიაში.**

ვისაც კი მუშაობა შეუძლიან სამხედრო სამუშაოზეა გაყვანილი. რუსის ქაღალდის მანეთიანი ფასობს 80 კ. ვერცხლის ფულის ფასი ძველებურია.

**რკინის გზები პოლონეთში.**

ამა თვეს პოლონეთში განაახლეს ორი რკინის გზა: ვარშავა-კალიშ-სკალვერჟიშე და [illegible], ამ უკანასკნელ გზით ვარშავიდან დანცაგამდე პირდაპირი მატარებელი 8 საათს ანდომებს.

**ფინლიანდია.**

ფინლიანდიამ ნება დართო პეტროგრადში გაიტანონ 5 მილიონი კილო (300 ათასი ფუთი) ერბო, რომელიც უკვე გამზადებულია გასაგზავნად.

**კავკასიის ასპარეზი**

**ჭოროხის მხარეს.**

სოფ. იშხანის მახლობლად, იქ, სადაც ჭოროხს პატარა მდინარე ყიზილო ერთვის, ჩილდასორის მთის სამხრეთით ოსმალების მზვერავები უკუაქციეს. 5 ქრისტეშობისთვეს ზღვის სანაპიროებში ოსმალთა მრავალრიცხოვანი მზვერავი რაზმი რუსების სადარაჯოებისაკენ მოიპარებოდნენ დიდ თოვლში. რუსებმა ბოლოს შეამჩნიეს და გაჰფანტეს.

**სპანეთი.**

**ესპანეთს შეუთვლეს.**

ესპანეთის მთავრობისთვის შეუთვლია ინგლისის მთავრობას, გაამაგრე ესპანეთის ნაპირები და თვალყური ადევნე, რომ გერმანელების წყალქვეშა ნავებისთვის სურსათი და ქანქანისთვის საჭირო მასალა არ მიიღონო. ესპანეთის მთავრობას შეუთვლია: ესპანეთის საზღვრებს, როგორც ოკეანეს მხარეს ისე ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს, თვალ-ყურს ვადევნებ, მაგრამ რადგან ეს საზღვრები მეტად გრძელია, ზოგიერთ ალაგას დაუსლებელი, ყველგან თვალ-ყურის გდება შეუძლებელია, ამიტომ შესაძლებელია გერმანელმა აგენტებმა ფული დახარჯონ და ნავებისთვის კერძო პირს სურსათი და ვაზელინი მიაწოდებინონო. დღემდე კი ყოველ საშუალებას ვხმარობ, ეს არ მოხდესო.

## უკანასკნელი ფოსტა

**ვილნო-დვინის მიდამოებში**

ვილნო-დვინის მიდამოებში გერმანელებმა მედგარი იერიში მიიტანეს და ჯარის გარღვევა სცადეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

**რიგა**

გერმანელმა მფრინავებმა რიგას ყუმბარები დაუშინეს.

**მიტავას მიდამოებში**

სერბეთის ასპარეზიდან გერმანელებმა მიტავას მიდამოებში გადმოიყვანეს ჯარი.

**ვილჰელმი რიგის მიდამოებში**

რიგის მხარეს ვილჰელმის მისვლას ელიან.

**მღვდლები ბრძოლის ველზე**

ბრძოლის ველზე ყოფილა 2,500 მღვდელი, აქედან 12 მოუკლავთ, 50 დაუჭრიათ, 40 ტყვედ წაუყვანიათ და 20 გულის სიგანივრით გარდაცვლილა.

**ავსტრიის ჯარი**

ნაწილი ავსტრიის ჯარისა საბერძნეთის საზღვარზე გადმოჰყავთ გიუმენჯის რაიონში. ბულგარები ვალანდოვოსა, რალევოსა და სტრუმიცას რაიონში იყრიან თავს.

## ბრძოლის ველზე

ახალი მოსული ცნობებითაც დიდი ცვლილებანი მსოფლიო ბრძოლის ველზე არა მომხდარა რა.

რუსეთის ასპარეზით ოფიციალურად იუწყებიან მხოლოდ მცირე შეტაკებაზე, რომლის შედეგად, რუსის პარტიზანულ მეომრებს ექვსი გერმანელი ჯარისკაცი დაუტყვევებიათ. ეს მომხდარა რიგის ქვემო დასავლეთით, ზღვის პირად.

ასეთივე უმნიშვნელო შეტაკება ჰქონიათ ჩარტორისკის ჩრდილო-დასავლეთით ს. პოდჩეროვიჩის სასაფლაოსთან, სადაც თექვსმეტიოდე წამოუყვანიათ ტყვედ.

კავკასიის ფრონტზე საყურადღებოს არას იწერებიან, გარდა იმისა, რომ ქამადანის დასავლეთით რუსის ჯარს ქალაქი ახალ-აბადი აუღიათ.

საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ ამ დღეებში, რუსეთის ოფიციალი ცნობით დამარცხებული სპარსეთის ჟანდარმთა რაზმები და ემირ-ქიშმეტის მეთაურობით აჯანყებული სპარსელები თეირანიდან 40 ვერსით სამხრეთ დასავლეთით კვლავ შებრძოლებიან რუსის ჯარებს. რუსებს ტყვეთ წამოუყვანიათ 71 კაცი.

შავ ზღვაზედაც რუსის ფლოტი გამოსულა და ბულგარეთის სანაპიროებთან ჰქონია შეტაკება ორ იალქნიან გემთან, რომლებიც ჩაუძირავს. მაგრამ რუსის ნაღმოსან „გრომკის“ დასდევნებიან მტრის წყალქვეშა ნავები და ორი ნაღმიც უსროლიათ. „გრომკი“ გადარჩენილა, ხოლო კერძო ცნობებია, ვითომც წყალქვეშა მტრისა დაიღუპაო.

ბალკანეთიდანაც კერძო ცნობებით ვიცით, რომ ავსტრიის ჯარებსაც გადაულახავთ საბერძნეთის საზღვრები და შეთანხმების ჯარებს უახლოვდება შესაერთებლად. თუ დაუჯერებთ ასეთს კერძო ცნობებს ავსტრიელები, ბულგარელები და ოსმალები სამი მხრით აპირობენ მიწოლას ინგლის-ფრანგების სალონიკთან გამაგრებულ ჯარებზე, რათა ერთბაშად ჩაჰყარონ წყალში.

გ. გ.

## თბილისი, 16 ქრისტეშობისთვე.

**„მილიონების წერაქვი“** ასეთი სახელით მონათლეს რუსულმა ჟურნალ-გაზეთობამ ომისთვის აღებული ახალი სესხის სახელი, რომლის ჯამის რაოდენობამ ძველთან ერთად 17 მილიარდს გადააჭარბა. ეს ისეთი ზღაპრული ჯამია, რომლის შესახებ არა თუ ძველ ომის ბაირახტართ, არამედ დიდ ნაპოლეონსაც კი მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. მაგრამ ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. ჩვენთვის უფრო საგულისხმიეროა ის, თუ რა გავლენას იქონიებს იგი რუსეთის ცხოვრებაზე საზოგადოდ და კერძოდ ჩვენსაზე.

უმთავრესი საკითხი ის კი არ არის, სასარგებლოა თუ არა ვალის შოვნა, —რომ სასარგებლო არ ყოფილიყო, ხომ არც მიჰმართავდნენ მის აღებას, —[illegible] მისი გონივრული მოხმარება და პატიოსანი გასტუმრებაც. დიდი სახელმწიფოა რუსეთი, მაგრამ ისიც ვიცით, რომ დასავლეთ სახელმწიფოებთან შედარებით იგი ჯერ კიდევ ნორჩია და თითქმის ყოველისფრით დამოკიდებული იმავე დასავლეთის სახელმწიფოებისაგან. ინდუსტრია მისი ფრიად ღარიბია, განუვითარებელი, ვაჭრობა-მრეწველობა წარმოუდგენელი სადა, თითქმის პრიმიტიული. უკვე გამოირკვა და რუსეთის საგოდებელიც ის გახდა, რომ ამ მილიარდების სარგებელსაც ადვილად ვერ გაუძლებს რუსეთი, არამც თუ თავნი ვალი გააქროს და გადაიხადოს. სესხი, უკანასკნელი 6 პროც. რომ ვიანგარიშოთ, თითეულს მილიარდზე უწევს 60 მილიონ მანეთს, მაშასადამე, დღემდე აღებულ ვალი მოუწევს თითქმის ახალ მილიარდზე მეტს—საიდან და რით გადაიხდის რუსეთი ამ ვალს? ეს საკითხი არა ნაკლებ საგონებელში აგდებს ფინანსთა სამინისტროს, ვიდრე რუსეთის მხედრობის ახალი და სათანადო შეიარაღება მტრის საპასუხოდ გასასვლელად. აი, ამიტომაა რომ ახალი კანონ-პროექტი შეუმუშავებიათ გადასახადების რეფორმების შემოსაღებად. მაგრამ რანაირი რეფორმაც არ უნდა მოახდინონ, მთელი ვარაუდი, როგორც „ნოვოე ვრემია“ ანგარიშობს, დაიჭერს 863 მილიონ მანეთს, მაშინ როდესაც ოფიციალ ცნობის თანახმად მარტო ერთი წლიური გასავალი ომის ხარჯების დასაფარავად უდრის 6 მილიარდზე მეტს! მაშასადამე, ყოველგვარი რეფორმა შემოსავლის გასაფართოვებლად, ვერაფერ სანუგეშო დასკვნამდის მიგვიყვანს, რადგანაც ვხედავთ, რომ თვით სათავე ასეთი წყაროსი ფრიად სუსტია, თითქმის დაწრეტილი.

ყველა სიკეთესთან ერთად უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ომის ბოლო ამ მილიარდების აღებით ითვლება. თუ კი ოქროზე მიდგა საქმე და ომის ბედი მან უნდა გადასწყვიტოს, მეტოქესაც არა სძინავს და მოკავშირეებზე არა ნაკლები სიფხიზლით წინადაწინვე ვარაუდს იჭერს. უკვე ტელეგრამებმა ცნობა მოიტანეს, რომ მტერიც ხანგრძლივი ომისთვის ემზადება, მაშასადამე, მის დასუსტებაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. „იმელისის კოშკის ოქრო“ (ასე ეძახიან გერმანელები 1870—71 წ. საფრანგეთის განაღდებულ კონტრიბუციას ერთ მილიარდზე მეტს მარკა ოქროს, რომელსაც ხელუხლებლივ ინახავდნენ ომის საჭიროებისთვის) ომის დაწყებიდანვე სახელმწიფო სალაროდანაც ერთი იმდენი დაუმატეს, ხალხმაც ერთნახევარი შესწირა. ახლა სესხის საქმე იქაც დიდის ხალისით მიდის, როგორც საფრანგეთში, ანუ ინგლისში, ასე რომ ომის დასასრულს, მტრის გატეხას, ანუ საპატიო ზავის ჩამოგდებას ახლო მომავალში არ უნდა ველოდეთ. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთს ხელახლად დასჭირდება სესხის აღება, როგორც მის მოკავშირეთ, როგორც თვით გერმანელებს.

ფრანგები და ინგლისელები, თუნდა გერმანელები სესხს რო იღებენ, ეს როდი გვიკვირს. მათთვის მილიარდების საკითხი ჩვენთვის მილიონებისას უდრის. მათი ინდუსტრია, აღებ-მიცემობა, კომპანიები მილიარდების აღებას არ შეუშინდებიან. საშიშია მხოლოდ შედარებით ისეთ ნორჩ და გაუმაგრებელ სახელმწიფოსთვის, როგორიც გახლავთ რუსეთი. ჯერ ეს სესხიც საგრძნობელია და რა იქნება ზედმეტი, ამის წარმოდგენა ადვილია.

მაგრამ დავთანხმდეთ, რომ რუსეთს ახალი სესხის აღება არ დასჭირდა. იკმარა იმან, რაც არის. ომიც დასრულდა. მაგრამ ამით თავდება ყველაფერი? სრულიადაც არა. სახელმწიფოს, რომელიც არ უნდა იყოს იგი, ომის შემდეგ შინაურ ცხოვრებაში
[illegible] ეწვევა
[illegible] მოსაწესრიგებლად, ცხო
[illegible] მოსაწესრიგებლად, ცხოვ
ნორმალ მდგომარეობაში ჩასაყ
ლად საჭირო იქნება ახალი მილ
დები. ახალი მილიარდები დასჭი
ბა ათასთა და ათიათას მცხოვრ
თვის უვარგ, უკვე ზედმეტ ადამ
ანუ ინვალიდთა შესანახად. ს
უნდა მოითხაროს ეს ვალი?
მოითხრება, რით გავისტუმრებთ
რომელი თანხიდან? რომელი შე
ვალი იკმარებს მათ სარგებლის
სტუმრებლად?
მაგრამ რუსეთის იმპერია ფარ
დიდი და გასაჭირიც ადვილად
ლება დაიფაროს. სავალალოა
პატარა ერების მდგომარეობა, რ
რიც თუნდა ჩვენა ვართ. საქა
ლომ თანაბრად გაიზიარა რუ
შვილებთან ერთად მსოფლიო უ
რების დიდი ტვირთი. საქართვ
გულიდან მოიწყვიტა ნორჩი არწ
რომელთაგანაც შველასა და ხსნ
ელოდა. საქართველო დღეს უ
უკაცოა, როგორც საშინელ ჟ
დროს, უკაცოა მაშინ, როდესაც
ნებამ მაზე მწყრალად მოიღო
როდესაც ნათესმა პირი არ ი
როდესაც ბუნების უხვმა კალთა
ძუნწე ჩაიდინა და წლის სარჩო
კლო კარზე. ამერ-იმერი, კურთ
კახეთის გული, ველარ სწვევს იმ
ლიან ბელლის მაგიერობას, რო
უხვად ასაზრდოებდა არა თუ
თველოს, არამედ მეზობელ ე
კი. დღეს ყველას რუსეთისკენ
რიათ თვალი, იქიდან მოელიან
იქიდან მოელიან შიმშილობის
ლებელ საშუალებას. აი, ამიტ
სავალალო, რომ ეს მილიარდებ
საგრძნობელი იქნება მთელი იმ
თვის, კერძოდ საქართველოს
ნამდვილ წერაქვად დაეშვებათ,
დან საქართველოს არაფერში
უყვარს ჩამორჩენა

## ნარკვევი

„ნოვოე ვრემია“ მეთაურ
უძღვნის სპარსეთის დღევან
ბებს და სწერს:
სპარსეთის მდგომარეობა ჯ
მოურკვეველია. სპარსეთის მ
ბა და მოხელეები რუსეთ-ინ
დიპლომატებს ტკბილად ე
კებიან, არწმუნებენ თქვენ
ვართო, საქმით კი სულ სხვ
ცდება. თეირანში გააკრეს
დება რუსეთ-ინგლისის წინა
თეირანის მთავრობა თითქ
ცადა მოწოდების ახევას,
მეორე ჯგუფმა არ დაანება.
ნის მთავრობა აცხადებს,
მერია შაჰის წინააღმდეგაა
რებულიო, მაგრამ ნამდვი
თეირანის მთავრობა უ
აძლევს ჯამაგირებს. მაშ, ა
უნდა იომოს რუსეთმა?
გერმანელ-ოსმალებთან, თუ

## ქართული გალობის გარშემო

ამ ცოტა ხნის წინეთ ქართ. გაზეთებმა დასტამბეს ანგარიში თბილისის მღვდელთა კრებებისა, რომელიც მომხდარა ყოვლად სამღვდელო ანტონ ეპისკოპოზის თავმჯდომარეობით. სხვა საქმეთა შორის, სამღვდ. კრება შეჰხებია ქართულ საეკლესიო გალობის მდგომარეობასაც სასულიერო სასწავლებლებში. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველ სამღვდელოებამ ყოველივე უნარსა და გულწრფელობას მოკლებულმა, ეხლაც ბევრი ილაპარაკა იმაზედ თუ ის სახელი, ის დიდება ეკლესიისა როგორ წაახდინეს და გაათხრეს,—თითონ კი არა, სხვებმა. ზოგიერთი ორატორი კრების ყურადღებას მიაქცევდა სასულიერო სასწავლებლებში გალობის დაქვეითებაზედ და ისურვებდა,—დღეს თუ ესეა, ხვალ უკეთ უნდა მოეწყოს ეს საქმეო.

სანამ ქართული ეკლესიის მესვეურებს დავუსახელებდეთ და მიუთითებდეთ იმ დაწესებულებაზედ, რომელიც, მართლადაც, ღვთის რისხვად მოჰვლინებია ქართ. ეკლესიასაც და გალობასაც, გვინდა ჩვენ ვიცოდეთ: რა სახით და როგორ უნდა მოაწყონ ეკლესიის მოსამსახურეებმა სასულ. სასწავლებლებში გალობის შესწავლა ნორმალურად, რომ ეს მეცადინეობა ნაყოფიერი იყოს?

თუ ქართული ეკლესიის მოსამსახურეთ ჰგონიათ, რომ სასულიერო სასწავლებლების წიგნთ-საცავებში თაროებზედ დასტა-დასტათ დევს მათ მიერ გამოცემული საეკლესიო საგალობლები სხვა და სხვა ავტორებისა, ეს შემცდარი აზრი იქნება. ქართველ სამღვდელოებას, რომელიც დღეს გალობის აყვავებაზედ ლაპარაკობს, იოტის ოდენაც არ გაუკეთებია რა ამ საგნის სასაგებლოთ, ამიტომაც არის რომ სასულიერო გალობის ლიტერატურა ნახევარ გირვანქას აიწონის და მეტს არა. ვისთვის რა დასამალია, და განა ყველამ არ იცის, რომ მთელი რიგი აუარებელ საგალობლებისა ჯერ ნოტებზედ გადაუღებელია, ბევრი მათგანი მივიწყებულა, რადგანაც მცოდნე საიქაოს გამგზავრებულა და თან ჩაუტანია ეს საუნჯეც. დღეს საქართველოში გალობის შესწავლა ზეპირ-გადმოცემით სწარმოებს, როგორათაც იყო უხსოვარ საუკუნოებში და ამ პრიმიტიულს საშუალებას ამა თუ იმ კილოს შენარჩუნებისას კიდევ გასავალი აქვს ეხლა, მეოცე საუკუნეში, როცა განათლება-განვითარებამ ყოველივე დარგსა თუ მეცნიერებაში ათასნაირი ხერხი მოუპოვა საზოგადოებას, ამა თუ იმ საუნჯის უკვდავსაყოფელად. რა იღონა ქართველმა სამღვდელოებამ გალობის აღსადგენათ მრავალ წელთა განმავლობაში? სულაც არაფერი! მართალია პეტროგრადიდან იგზავნებოდნენ ჩვენში ეკლესიის მოსაწყობათ იმისთანა პირები, რომელნიც ქვას ქვაზედ აღარ უშვებდნენ და ივერიის ეკლესიას დედამიწის პირიდან აღგვას ემუქრებოდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს ხომ იყვნენ იმისთანებიც, რომელთაც მართლა, თითქოს, სურდათ რამე გაეკეთებინათ ივერიის ეკლესიისათვის. რატომ არ ისარგებლა ქართველმა სამღვდელოებამ ამ კეთილ განწყობილებით და არ სთხოვა ამ დიდ პირს რამე თანხა გალობის მოსახმარებლათ? დიდი საქმე იყო, რომ ამ პირის წყალობით რამდენიმე ათასი მანეთი გადადებულიყო გალობის გასამშვენიერებლათ ან სასინოდო კანტორის დიდი თანხიდგან, ან იმ ფულიდგან, რომელიც ქართულ ეკლესიას ეძლევა სინოდისაგან? არაფერი არა იფიქრა რა ჩვენმა სამღვდელოებამ, როგორც ყოველთვის, ვერავითარი ვერც მომენტით, ვერც განწყობილებით ვერ ისარგებლა, თუმცა შესაძლებელი იყო თუ ერთიდან, მეორედგან არა, მესამედგან გამოენახათ რამე წყარო გალობის აღსადგენათ. იმისთანა კეთილი სურვილები როგორებიც ითქვა ხსენებულ კრებაზედ, წინათაც ბევრი გაგვიგია ქართვ. სამღვდელოებისაგან და არსებითად კი ამ სურვილებს არავითარი ნაყოფი არ მოუტანიათ და დღეს აკი ქართული ეკლესიაც და გალობაც უნუგეშო მდგომარეობას განიცდიან!.

ქართველი სამღვდელოება დღესაც დიდი თაყვანისმცემელია ზეპირ გარდაცემისა და ეს ზეპირ გარდაცემა მას გალობაში დიდათა სწამს; აი ფაქტები და მაგალითებიც: ამ რამდენიმე წლის წინედ ექსარხოსის ნებადართვით თბილისში მოეწყო საგალობელი კურსები; ამ კურსებზედ დაიარებოდა სულ 6—7 კაცი; ამ რიცხვმაც თანდათან იკლო, მესამე კვირაზედ კურსების მომწყობმაც მიანება თავი. იკითხავთ მიზეზს კურსების დახურვისას. მიზეზი ის გახლდათ, რომ თვით მასწავლებელს გალობისას ცოტა უნარი ებადა ზეპირ გარდაცემაში; მსმენელი ორჯელ-სამჯერ მივიდა, ვერა შეითვისარა და იძულებული იყო დაენებებინა თავი. ესევე უნაყოფო შედეგი აქვს გალობის ზეპირ გარდაცემით შესწავლას, დარიის მონასტერში მედავითნეებისათვის დაარსებულ კურსებზედ. სხვა საქმეა როცა მოსწავლეს წინ უდევს ნოტებით დაწერილი საგალობელი; თუ ზედმიწევნით არ ეცოდინება გალობის ან-ბანი, თვალით ხომ ხედავს ნიშნების სიმაღლე სიდაბლეს ხუთს ხაზზედ. აი ეს უპირატესობა აქვს ნოტებით დალაგებულ გალობის შესწავლას, ზეპირ გარდაცემით შესწავლის წინაშე. ამისათვის აქნობამდინაც უნდა ცდილიყვნენ ქართველი მღვდელნი და გულშემატკივარნი საგალობლები ნოტებზე დალაგებულიყო, რომ ეს საუნჯე ყველასათვის მისახდომი და მისაწდომი გამხდარიყო.

სემინარიაში და სასწავლებლებში უკეთ უნდა მოეწყოს გალობის საქმეო. ვის აქვს ეჭვი,—ფრიად კეთილი სურვილია.. მაგრამ დაკვირვებია კი ვინმე ამ გარემოებებს, რანიც რკალივით გარს არტყიან ყოველივე ქართულს. ამ სასწავლებლებში და კერძოდ გალობასაც? ამ საგანზედ მე მილაპარაკნია ეხლანდელ გალობის მასწავლებელთან ბ-ნ კარგარეთელთან, რომელიც უარყოფის თვალით უყურებს გალობის ნაყოფიერებას სასწავლებლებში. მე, როგორც სასულიერო სასწავლებლებში გავლილს, მახსოვს გალობის გაკვეთილები; ძალის დამტანი არავინ გვყავნდა, გვინდოდა მივიდოდით გაკვეთილზედ, გვინდოდა არა, „ორს“ მნიშვნელობა არა ჰქონდა და გაკვეთილის გაშვებას ცოდვათ არავინ გვითვლიდა. ამ ორი წლის წინედ ვიღაც ანანია „Зак. Рѣчь“-ში სწერდა წერილს სამღვდელოთა კრების საყურადღებოდ და მიუთითებდა, რომ ყველაზედ მეტი გაშვებული გაკვეთილები გალობის საგანზედ მოდისო. ეს წერილი რომ წავიკითხე, ჩემი თავი მომაგონდა: ჩვენ ეზოში ვშოლტაობდით, მასწავლებელი კი ცარიელ ოთახში გვიცდიდა; ერთის სიტყვით, ეხლაც და წინათაც გალობის ვალდებულობა ფიქციურია. რაღა ვსთქვა თვით სწავლაზედ; ჩემთვის უთქვამთ შეგირდებს: სახელმძღვანელოების უქონლობის გამო მასწავლებელი დაფაზე გვაწერინებს ლოცვებს და ისე ვსწავლობთო; და განა ამ გარემოებებში მეცადინეობა რამე ნაყოფს მოიტანს?.

და განა მარტო სასწავლებლებში დაეცა გალობა? რატო სამღვდელოებამ არ იცის გალობა? უწინ, თქვენს დროსაც ხომ კარგარეთლები და ფალიაშვილები არ ასწავლიდნენ გალობას? მახსოვს ერთი გარემოება: შემთხვევით ერთ დღესასწაულზედ სასწავლებელში ვიყავ მიწვეული; პარაკლისის დროს ექსარხოსმა წინადადება მისცა ქართველ არქიმანდრიტებსა და მღვდლებს ეგალობნათ ქართულად საგალობელი; დაიწყეს გალობა, მაგრამ რომ არ დეეძრათ კრინტი, ისა სჯობდა; ერთი ალთას მიდიოდა მეორე ბალთასა; სირცხვილით აღარ ვიცოდი სად წავსულიყავ. ბოლოს ისევ გუნდმა გამოიყვანა ქართვ. სამღვდელოება უხერხულ მდგომარეობიდან. ეს უტყუარი ფაქტი ჩემის თვალით ვნახე და ყურით გავიგონე და აკი იმიტომაც ღრმათ შემრჩა ხსოვნას. ნათქვამია: რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო; გალობაც ერთ-ერთი ენაა გრძნობათა წყებისა; ქართველი სამღვდელოება წახდა, ეკლესია
გურდა და გალობაც დაეცა.
გალობის დაცემისა ჩვენი მ
ლობა და უნუგეშო მდგომარ
დამნაშავის ძებნა სულ ამაო
და თუ მისი მოსპობა საშ
იმ მოსაზრებით, რომ ივერი
სია უმღვდლოდ არ დარჩ
მოვითხოვდი, რომ ეგზამენებ
ღვდელო პირთაგან ჯერ გალ
ეთხოვათ და მერე სხვა რა
უნდა ჩაუკვირდეს სამღვდელ
ანგარიში გაუწიოს.
საზოგადოდ ქართველ სამ
ებას ძალიან უყვარს წამხდა
ებზე ლაპარაკი და ყველა დ
მიაჩნია, თავისი თავის მეტ
ესე არ იყოს აქამდის ჩვენი
დიდს სატკივარს იქნებ ც
ჰშველებოდა. დავანებოთ წ
ვი, მოვსპოთ დამნაშავეების
გვინდა ჩვენ მიერ გაოხრებ
სხვას გადავაბრალოთ.
თქვენი თავი თქვენივე სინ
ნაშე, და მერე ჩამქოლეთ
ყვით, თუ ეს მართალი არ
ეს აქ ლათინურათ გალ
რუსულად უქცევენო, აქ
პიულიაო და სხვა და სხვა.
ლოცვილებო, მაშ როგორ
რომ იყოს; მაშ თქვენ უ
ჰყოთ ყველა ის კარგი, რა
შეჰქმნა სიმღერა-გალობაში?
არა იყოს რა, ეს სასაცილო
ნეთ მაინც რუსული „ობიხ
დგენის ისტორია; თქვენ
რომ აქ სულ რუსულია და
პიული. მაგრამ რომელი რუ
რომ ის რუსული გალობა ა
პირადათ მე დიდს მნი

სეთთანაც? სპარსეთის მთავრობამ გადაჭრით უნდა მოსთხოვოს ჟანდარმერიას დამორჩილება და იარაღის დაყრა. მაშინ გამოირკვევა ნამდვილი მდგომარეობა და მისწრაფება სპარსეთის მთავრობისაც. რუსეთისათვისაც ცხადი გახდება ოსმალ-გერმანელებს უნდა ებრძოლოს, თუ სპარსეთსაც.

# ახალი ამბავი

✦ **უმაღლესი სტუმარი.** გუშინ, დილის 9 საათზე, თბილისს ეწვია უმაღლესი უფროსი სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილისა პრინცი ა. პ. ოლდენბურგისა. ვაგზალში მიეგება მას, მისი უმაღლესობა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ამალითურთ, გუბერნატორი, უფროსი სამხედრო ექიმი ბ-ნი კოპაძე და სხ. დიდმა მთავარმა სასახლეში მიიწვია პრინცი.

✦ **დირექტორი მეფის ნაცვლის კანცელარიისა** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იმ პარკებში, სადაც გროვდება ჯარის კაცებისათვის შეწირულება: (ჩაი, შაქარი, პაპიროსი და სხვა,) ნუ ჩასდებენ საპონს, რადგან ყველაფერს სუნს აძლევს და აფუჭებს.

✦ **უხვი შემოწირულება.** ი. მანთაშევმა შესწირა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას გადმოხვეწილთა დასახმარებლად 30 ათასი მანეთი, ხოლო გაიანეს სახელობის ქალთა სასწავლებელს 2,000 მანეთი.

✦ **სასურსათო საკითხი.** თბილისის ქალაქის თვითმართველობამ მთავრობას უპროცენტო სესხად სთხოვა სურსათის შესაძენად 3 მილიონი მანეთი. მთავრობას ჯერ არ შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

✦ **ბ-ნი კრივცოვი.** ამ ჟამად თბილისში იმყოფება უმაღლესად დამტკიცებულ საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე სენატორი კრივცოვი. 14 ამა თვეს ბ-ნი კრივცოვი მეფის ნაცვალს წარუდგა. მისმა უმაღლესობამ საუზმეზე მიიწვია იგი.

✦ **ნამალევი შაქარი.** 14 ამა თვეს მეშვიდე საპოლიციო ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა ჯიჯიეიშვილმა ელისაბედისა და ჩერქეზიშვილის ქუჩების შესართავში 2 დროგი შაქარი დაიჭირა, წონით 200 ფუთი. შაქრის პატრონი არ აღმოჩნდა. შაქარს დღეს გაჰყიდიან არსებულ ნიხრის კვალობაზე.

✦ **თბილისის კოოპერატივს** 12 ქრისტეშობისთვეს შეუსრულდა თავისი 2 თვის არსებობა. 13 ღვინობისთვიდან 13 გიორგობისთვემდე უვაჭრია ამხანაგობას 14.000 მანეთის საქონელი, 13 გიორგობისთვიდან 13 ამა თვემდე ვაჭრობა ჰქონია 24.000 მანეთისა, ე. ი. დღეში ას თუმნამდე ვაჭრობა ჰქონია. ამ ჟამად ამხანაგობას ბაქოში აქვს შეძენილი 30 ათას მანეთის საქონელი და დღე-დღეზე მოელის. კოოპერატივი შეშითაც ვაჭრობს. ჯერ-ჯერობით მოუვიდა 53 ვაგონი შეშა.

✦ **მეპურეების თვითნებობა.** ქალაქის განაპირა ადგილებში ზოგიერთი მეფურნეები არსებულ ნიხრზე მეტ ფასს თხოულობენ პურში.

✦ **ყასბების გაფიცვა.** გუშინ, გარდა კამბეჩისა, სხვა ხორცი არ მოიპოებოდა თბილისში. პოლიცმეისტერმა დაიბარა ყასბები და გამოუცხადა, რომ ხვალაც თუ არ დაგიკლავთ საქონელი, ყველას ციხეში გაგგზავნითო.

✦ **პურის და ხორცის გაძვირება.** ქალაქის თვითმართველობის სამეურნეო კომისიის წინადადებით ქალაქის საბჭომ ფასი მოუმატა პურსა და ხორცს. საბჭოს დადგენილებით, გუბერნატორმა თუ დაამტკიცა იგი, გირვანქა გამომცხვარ პურს ემატება ნახევარი კაპეიკი, ასე რომ პირველი ხარისხის ფურნის პური ეღირება 6 ნახევარი კაპ., მეორე ხარისხისა 6 კაპ.; თორნის პური 7 და 6 ნახნვ. კაპ. მესამე ხარისხის პური სულ არ გამოცხვება. 1 გირ. ძროხის ხორცი ეღირება პირველი ხარისხისა 22 კაპ., მეორესი 18 კაპ., მესამესი 12 კაპ. ცხვრის ხორცი 20 კაპ., ღორისა 20 კაპ. და კამბეჩისა 13 კაპ.

✦ **გამოქცეულ სომხებზე მზრუნველმა მთავარმა კომიტეტმა** დაადგინა- 3 ახალი ობლების თავშესაფარი გახსნას კრწანისში, ტაბახმელაში და წყნეთში.

✦ **სურსათი.** 14 ამა თვეს რკინის გზით შემოვიდა თბილისში: ფქვილი 28 ვაგონი, ხორბალი 2 ვაგონი, ქერი 2 ვაგონი, ღვინო 3 ვაგონი, ხილი 2 ვაგონი, ბატი 1 ვაგონი, ნავთი 3 ვაგ., მაზუთი 10 ვაგონი, კვერცხები 83 ფუთი.

✦ **წარჩინება.** ბრძოლის ველზე სიმამაცისთვის წმ. ანნას მეორე ხარისხის ჯვარ და ხმალ ბანტი ებოძათ 1) **ბერბუთაშვილს** 2) **ართმელაძეს** 3) **ძიარიშვილს** წმ. ანნას მესამე ხარისხისა 1) **ნესტ. ლობჟანიძეს,** 2) **ხუთიაშვილს,** 3) **მუსხელიშვილს.** წმ. ანნას მეოთხე ხარისხის ჯვრით დააჯილდოვეს: 1) **ჯაფარიძე,** 2) **გამრეკელი,** 3) **ლალიძე,** 4) **კიკნაძე.** წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ჯვარი 1) აფიცერს **ქობულაძეს,** 2) **იოხელიანს,** 3) **თავად ციციშვილს,** 4) **ლორთქიფანიძეს.**

### ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნიის საერობო ორგანიზაციამ დაადგინა მომავალი წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში გახსნან 3 საავადმყოფო და 4 საფერშლო პუნკტი. ადგილებს გუბერნატორი აარჩევს.

— ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წიგნების გამავრცელებელმა აგენტმა მოქმედება უკვე დაიწყო. მან უკვე შემოიარა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები და საკუთარი აგენტებიც გაიჩინა. ჯერ ჯერობით წიგნების გავრცელების საქმე კარგად მიდის.

— ქალაქის სასაკლაოს სადგომი და ეზოც მეტად უსუფთაოდ არის. მას ყურადღებას არავინ აქცევს. ხორცს ქალაქში გაურეცხლად გზავნიან და ტაჭკებსაც არაფერს აფარებენ, რომ ხორცი სუფთად მოიტანონ.

არც კი ვაძლევ სასულიერო სასწავლებლებში და სემენარიაში გალობის კარგად დაყენებას; განა არ ვიცით, რომ ეხლა, როცა სემინარიამ ყველა უფლება მოიპოვა, გიმნაზიებისა, აღარავინ არ წავა მღვდლათა; ამ შვიდ წელიწადში სემინარიიდან ორი ქართველი წავიდა მღვდლათა და ერთიც ბერძენი.

მოწაფე, გადადის თუ არა მეოთხე კლასში, მაშინათვე სტუდენტის ქუდს აკერინებს; ამიტომაც არის, რომ მეოთხე კლასის 60—70 კაციდან 6—8 კაცი გადადის მეექვსეში, დანარჩენები მიდიან რუსეთისკენ. იქნებ გგონიათ, ან ის ექვსი ვაჟი მიდიოდეს მღვდლათა? ნურას დროს ნუ იფიქრებთ მაგასა. ესენიც ზოგი მასწავლებლად მიდის, ზოგიც სამსახურში შედის ხელმოკლეობისა გამო.

მაშ ქართველი ეკლესია უმოსამსახუროთა რჩება?—იკითხავს გაოცებული მკითხველი; აქ მივედით იმ დაწესებულებასთან, რომელიც მღვდლობას ისე ურიგებს, როგორც ჭიან ტყემალს. მღვდლობისთანა ადვილი და იაფი ეხლა აღარაფერია. რათ გინდა ან სემინარიის გათავება, ან სასწავლებლისა. მიდი ეგრეთ წოდებულ სამღვდელო კომისიაში ან ნაცნობობით, ან მეგობრობით და საქმე გაჩალხულია. ხოლო იცოდე კი ცოტა ოდენი წესი მღვდელთმსახურობისა და მღვდლის ფირმანს წინ არა უდგია რა; არც გალობის ცოდნაა საჭირო, არც სამღრთო წერილისა, არც სახარება-სამოციქულოს კითხვისა: ამისთანა მღვდლებით აივსო ჩვენი ქვეყანა; მიბრძანდით რომელ სოფელშიაც გნებავთ, თუ იქ ან წირვას, ან გალობას, ან სასოიან კითხვას მოისმენ; მედავითნეებზედ აღარაფერს ვიტყვი, ან კი ღირს მათ მომზადებაზედ, ან მოუმზადებლობაზედ ლაპარაკი. მეკრძალვის მკითხველისა, თავად ისეც გაგვიგრძელდა სიტყვა, თორემ იმისთანა მაგალითებს მოვსთხოვდი, რომ ყურებში თით დასაცობი იყოს. ან კი ვინ მოსთვლის მათ უწესრიგობას ან კითხვაში, ან გალობაში. აკი იმიტომაც დაცალიერდა ეკლესიები. ერთი მიბრძანეთ: სემინარისტები არიან ესენი, თუ სხვა ვინმენი? მე კი რომ სამღვდელოებაში სიტყვა მეთქმოდეს, მოვითხოვდი, რომ ეს ქართული ეკლესიის გამათახსირებელი კომისსია სულაც მოესპოთ, და თუ ქართვ. სამღვდელოებასაც ჰსურს დღეგრძელობა თავის გალობისა, უნდა მოსპოს ეს მრავალფეროვანობა, რომელსაც განვითარების შტო აღარ ამოსდის და უფრო ისტორიული ხასიეთი აქვს; უნდა შეჰქმნას მან ერთფეროვანი გალობა, რომელიც საფუძვლად დეედება გაუმჯობესებას. თუ ამ გაუმჯობესებას არ შეეგუება ჩვენი მღვდლობა და იგი ეხამუშება მის შორს მხედველობას, მაშინ დაჯდეს და იმდენი იკივლოს ის სამ ხმოვანი კილო, სანამ მოეწყინებოდეს; ის სამღვდელოება, რომლისთვისაც არც ავტორიტეტს აქვს მნიშვნელობა, არც გამოცდილებას, ღირსია მხოლოდ კარბელაშვილებისა და მათი მომხრეებისა, რომელთაც ყველა ქართული ეკლესიის მოღალატედ მიაჩნიათ, თავიანთი თავის მეტი, მხოლოდ იმიტომ, რომ ესენი ისე შაბლონურად, ისე ტლანქად ზორზოხად არ მსჯელობენ საეკლესიო გალობის საქმეში, როგორც პირველნი.

**სამ. მ—ლი.**

# ქართ. კულტურ. მოყვარ. საზოგადოებაში

ორშაბათს, 14 დეკემბერს, დეპუტატთა საკრებულო დარბაზში გ. გორდეზიანის თავმჯდომარეობით შესდგა ქ. კ. მ. საზოგადოების საჯარო სხდომა.

გ. თ. ჟორდანიამ მოხსენება წაიკითხა ზოგიერთ ქართულ ხალხურ ჩვეულებათა შესახებ: 1. „ქორწინება სამეგრელოში“ და 2. „სისხლის აღება სვანეთში“. განსაკუთრებით საყურადღებო მოხსენება იყო მეორე. კრებას ხალხი მრავლად დაესწრო და კამათშიაც მიიღო მონაწილეობა.

# მძარცველობა ზუგდიდ-სენაკის გზაზე

ამ საზოგადო უბედურობის და არევ-დარევის დროს, როგორც ყველგან, ჩვენს სამეგრელოშიაც ამოჰყვეს თავი სოროებიდან, საზოგადოების ნაძირალებმა: გახშირდა ქურდობა, ავაზაკობა, თავდასხმა—მძარცველობა.— ავაზაკებმა, როგორც სოფლის ოჯახები. ისე ფართო შარა-გზები გახადეს თავიანთ სამოქმედო „ასპარეზად“. განსაკუთრებით უშიშრად თარეშობენ ისინი ზუგდიდ-სენაკის გზაზე, სადაც მათნი მსხვერპლნი ხდებიან დელეჟნები მრავალი მგზავრებით, საწყალი მეურმეები და სხვანი.

საკვირველია ამ შემთხვევაში პოლიციის უმოქმედება. ან უკეთ რომა ვსთქვათ, მოქმედება: ზუგდიდიდან თუ სენაკიდან მომავალ დელეჟანს ს. ცაიშში (ან დ. ხობში) პირველად ხვდებიან სტრაჟნიკები ურიადნიკი ლაბახუას მეთაურობით. მგზავრებს ჩხრეკენ და ვისმე თუ რამე იარაღი გააჩნია, ართმევენ, ხშირად მოწმობიანებსაც.— შემდეგ, ამ იარაღ ახდილ მგზავრებს ხვდებიან იმავე გზაზე თავით-ფეხებამდე შეიარაღებულნი ავაზაკები, „ჩხრეკენ“ ისინიც თავისებურად და ართმევენ ვისაც რა აღმოაჩნდება ჯიბეში ან ტანზე...

იბადება ცოდვილს სულში ცოდვილი კითხვა: ამ ორგვარ მჩხრეკელთა შორის ხომ არ არსებობს რაიმე კავშირიო?

**კ—ი.**



კახეთის კოოპერატივთა კავშირის დამფუძნებელ კრების მონაწილენი

# კახეთის
## საკრედიტო დაწესებულებათა კავშირის დაარსების გამო.

შაბათს დილით თბილისიდან თელავისაკენ გავეშურეთ. მივდიოდით კავშირის დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლად. კახეთის რკინის გზას შინაური „ოჯახური“ ელფერი აქვს. ვაგონი საზოგადოებრივ კლუბს მოგაგონებთ. ერთი მხრის ხალხი, ერთი ენით მოლაპარაკე მსჯელობს „სადღეისო“ ჭირ-ვარამზედ. იმ დღეს საგანს მსჯელობისას კავშირთა დაარსება შეადგენდა. ეტყობოდა, ეს არის უმთავრესი „სადღეისო“ საკითხი მთელი კახეთისათვის. ყველა დიდის იმედით და რწმენით უყურებდა მას. ეჭვი კავშირის საჭიროების შესახებ, უარყოფითი შეხედულობა არავის გამოუთქვამს.

გურჯაანში უკვე თვითონ მოლვაწენიც გამოჩნდნენ. ქიზიყის საკრედიტო დაწესებულებათა რწმუნებულები ჩამოსულიყვნენ გურჯაანში, წინასწარი კრებაც მოეხდინათ გურჯაანელებთან ერთად და უკვე მომზადებულნი, რწმენითა და იმედით აღვსილნი, მიეშურებოდენ თელავისაკენ.

თელავში საგანგებო საორგანიზაციო ბიუროს ყველაფერი მოეწყო სტუმართათვის, იმ ღამესვე, 12-ს, გაიმართა წინასწარი თათბირი რწმუნებულებისა სტუმართა დასწრებით. თათბირმა შუაღამემდე გასტანა. ყველა მხრიდან ჩამოსული რწმუნებულნი მიმართავდენ ბ. ლუკაშვილს კითხვებით და უკანასკნელიც ციფრებით და ცნობებით, იშვიათის დარბაისლობით, საქმის ღრმა რწმენითა და სიყვარულით ჰფანტავდა ყოველივე მითქმა-მოთქმით შობილს ეჭვს, ულრმავებდა რწმენას, უორკეცებდა იმედს დამსწრეთ.

თათბირმა გაიცნო და მიიღო ბიუროს მიერ შემუშავებული გეგმა დღესასწაულისა.

### პირველი დღე

ათი საათისთვის თელავისა და კლუბის დარბაზი უკვე გაჭედილი იყო რწმუნებულებითა და სტუმრებით. ერთნიც და მეორენიც საგანგებო ბილეთებით შედიან კრებაზე. პატარა კერძო თათბირის შემდეგ, რომელზედაც კავშირის დამფუძნებლებმა სრულ უფლებიან წევრებათ მიიღო ახლად ჩაწერილი საკრედიტო დაწესებულებანი მათი წარმომადგენლების სახით. გადახდილ იქმნა პარაკლისი.

პარაკლისის შემდეგ წაკითხულ იქმნა მილოცვანი სხვა და სხვა დაწესებულებების და კერძო პირების. შემდეგ მიულოცა კრებას დღესასწაული სახელმწიფო კრედიტის ინსპექტორმა ბ. ვიფფორსმა. მიულოცეს აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებათა და გაზეთების წარმომადგენლებმა: ბ.ბ. გაბაშვილმა, ქარუმიძემ, ხირსელმა, ა. ახმეტელაშვილმა, ვ. კარბელაშვილმა, მინასაზოვმა. ილაპარაკეს აგრეთვე თვით რწმუნებულებმაც.

მილოცვების შემდეგ კრება შეუდგა პრეზიდიუმის ამორჩევას კრებებისათვის. ამორჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ—ბ. ირ. ფორაქაშვილი, მის ამხანაგებად გ. წინამძღვრიშვილი და თ. კევლიშვილი, მდივნად ბ. კრაწაშვილი.

ამოირჩიეს კომისია, რომელსაც წესრიგი უნდა გადაეშინჯა და კრებისათვის გადაეცა.

სალამოს 5 საათზე რწმუნებულნი და სტუმარნი მიწვეულ იქმნენ სადილზედ. კახურმა ტკბილმა სუფრამ და სიმღერამ, გულწრფელმა სიტყვებმა ხომ უფრო გააღრმავეს და გააძლიერეს სადღესასწაულო განცდა. ყუბანის კავშირის წარმომადგენელ მოლოროსის მოსვლამ და მის მიერ ნათქვამმა სიტყვამ დააგვირგვინა ბედნიერი დღე.

# ქართულ სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება

(გაგრძელება)

**თ-დ ვლ. დ. ვაჩნაძე** ეხება ანგარიშის წარმოებას, რომ იგი სასურველ ნიადაგზე არ არის დაყენებული. არ არის საპირადო (лицевой) ანგარიშები. მდივნის შესახებ გამოსთქვავს სურვილს, რომ საზოგადოების მდივნათ უსათუოდ აგრონომი უნდა იქმნეს დანიშნული, რომელსაც შეეძლოს ყველას, ვინც კი მიმართავს შესაფერი ახსნა დარიგება აძლიოს, როგორც თვით საზოგადოებაში ისე, მის გარეშე. დაბოლოს გამოსთქვავს სურვილს, რომ საზოგადოების საბჭოში უნდა მუშაობდენ თავისუფალნი სხვა საქმეებისაგან პირნი. მართალია საბჭოში, როგორც ცოდნით ისე გამოცდილებით ფრიად საპატიო პირნი ურევიან, მაგრამ მათ ნიჭ-გამოცდილებით ჩვენ ცოტას ვსარგებლობთ, მათ მოუცლელობისა გამოო.

**თ-დ ი. გ. ციციშვილმა** გამოსთქვა თვისი გულისწყრომა, რომ საზოგადოებას ამ 3 წლის განმავლობაში არა გაუკეთებიარაო, კავშირი სოფელსა და საზოგადოების შუა არ არსებობს, საზოგადოებაში სუფევს ცივი ატმოსფერა, პასივობა, ცივი გული, რის გამოისობითაც გარბიან აგრონომები. სარეზერვო ფულის უქონლობაც აქ არაფერ შუაშია. მართალია გვიან ვიღებთ ფულს, მაგრამ ერთგვარი მინიმუმის იმედი გვაქვს. ჩვენ პასივობას იმაში ვხედავთ, რომ ფული გვაქვს და შიშით ვართ შეპყრობილნი, რის წყალობითაც ერთ ადგილს ვაყრით ფულს და სხვა ადგილი გვრჩება. მაგალითად იყალთოს მამული საზოგადოებას 12 დესეტინა მამული გაუკეთებია და სხვა კუთხე კი მოკლებულია ასეთ ყურადღებას. მაგალითად არაგვისა და ქსნის ხეობანი მივიწყებულია. გულისწყრომით მოიხსენა აგრედვე საზოგადოების გამოცემა „მოსავალი“ რომელიც თვის უშინაარსობით „ზიზღსა ჰგვრის მკითხველსაო“. საზოგადოთ, ბ-ნ ციციშვილის აზრით სასოფლო სამეურნეო საზოგადოება მეცნიერულ და დამხმარე საზოგადოებად უნდა იყოს ცნობილი და არა პრაქტიკულადო.

**ს. თ. ხუნდაძეს** აზრით ქართველებს მომზადებული ხალხი და ხელმძღვანელები ცოტა გვყავს და თუ გვყავს ისინიც 1—2 წლის შემდეგ სამსახურს გაურბის. ჩვენ ეხლა 2 კაცი ღა დაგვრჩენია 1 ქართლში მეორე კახეთში. მათ საქმე კარგათა აქვთ დაყენებული და თვითონ მემამულენი დამნაშავენი არიან, რომ მათ არ მიმართავენ ხოლმე რჩევა დარიგებისთვის. ციციშვილის აზრი სიმართლეს არის მოკლებული, ვითომც კავშირი სოფელსა და საზოგადოების შუა არ არსებობდეს. სახელმწიფო აუარებელ ფულს ხარჯავს, მაგრამ მაინც იმათაც საქმე ვერ მოუწესრიგებიათ სასურველ ზომამდე. ჩვენ სალდელ მინდვრებით კი ისეთი მცოდნე პირი, როგორც ბ-ნი ტიმოფეევია—აღფრთოვანებულია და საჯაროდ გამოსთქვა აზრი, რომ მთავრობას ისე სწორ ნიადაგზე არა აქვს დაყენებული ეს საქმე, როგორც თქვენაო. გულახდილად უნდა ვსთქვათ რომ ნაკლულევანებანი გვაქვს, მაგრამ ისეთი კი არა როგორც აქ იძახიან. საჭიროა მხოლოდ, შემდეგისათვის მცოდნე პირები ავირჩიოთ. ჩვენ იდეური კაცები გვჭირია რომელნიც 5—6 მანეთის გულისთვის არ გასცვლიან ჩვენ სამსახურს სხვაზე.

(დასასრული იქნება)

# ქალაქის საბჭო

თავმჯდომარეობს ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი.

შეკითხვები: **ხმ. დოლუხანოვი.** ვინ არის ვალდებული თვალყური ადევნოს ავტომობილების მიმოსვლას ქუჩებში, ქალაქის პოლიცია, თუ ჩვენ?

**თავმჯდომარე.** ქალაქის პოლიცია.

**ხმ. დოლუხანოვი.** სამწუხაროდ, როგორც სჩანს, პოლიცია საკმარისი არ ყოფილა; საჭიროა სხვაც მივაშველოთ.

**თავმჯდომარე.** ქალაქის თვითმართველობას არავის მიშველება არ შეუძლიან. ჩვენ ვაწესებთ ნიხრს, სანიტარულ მდგომარეობას ვაქცევთ ყურადღებას, ხოლო რაც შეეხება წესრიგის დაცვას, ამაში ვერ გავერევით. მეც ვიცი, ხშირად არღვევენ წეს-რიგს შოფერები. რამდენიმე ასეთი ფაქტი კიდევაც აღვნიშნე და პოლიცმეისტერს წერილობით ვთხოვე, ღონისძიება იხმაროს.

**ხმ. კეილი.** არ შეიძლება საქალაქო ვალების შემოტანის ვადა გაგრძელდეს? 15 ამ თვემდე ბევრნი ვერ შემოიტანენ მათზე დარჩენილ გადასახადს და ამ რიგად ეკარგებათ უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. მე ვფიქრობ, რომ შეიძლება ვადის გადადება, მით უფრო, რომ არჩევნების დრო ჯერ არ არის დანიშნული.

**თავმჯდომარე.** შეუძლებელია ვადის გადადება, რადგან არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს საარჩევნო სიები. ისედაც არჩევნები ძლივს ძლივობით ესწრობა თებერვლის პირველ რიცხვებისათვის და თუ ვალების შემოტანის ვადა გავაგრძელეთ, ნახევარი წლით მაინც უნდა გადაიდვას არჩევნები. გნებავთ გადადება? (ხმები, არ გვინდა არა!)

**ხმ. ევანგულოვი.** ამ ხანად ერთერთ გაზეთში იყო დაბეჭდილი, არ მახსოვს რომელში, რომ ლომბარდის ერთი მოსამსახურე ბაქოში წასულა კოოპერატივების საქმეების გამო. მართალია თუ არა ეს ამბავი? თუ მართალია, უნდა მოგახსენოთ, ეს ვერაფერი საქმეა. ჩვენი დაწესებულების მოსამსახურეს ერთხელ და სამუდამოდ აკრძალული უნდა ჰქონდეს გარეშე საქმეების კეთება.

**თავმჯდომარე.** ქალაქის სამსახური ისეთი რამე როდია, რომ მოსამსახურეს აკრძალული ჰქონდეს რაიმე საზოგადო დაწესებულებაში მუშაობა. ჩვენ თუ დადგენილი გვაქვს, რომ ჩვენი მოსამსახურე სხვაგანაც არ მსახურებდეს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნება არ ჰქონდეს მონაწილეობის მიღებისა კოოპერატივში ანუ რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულებაში.

**ხმ. ბაბოვი.** რა მდგომარეობაშია საქმე ხალხის უზრუნველყოფისა პირველ საჭიროებათა საგნების მხრივ? თქვენ შემოგვპირდით, რომ ყოველ კვირაში მოგაწოდებთ ამის შესახებ ცნობებსო, მაგრამ რამდენი ხანი გავიდა და თქვენ-კი არავითარი ცნობები არ მოგიწოდებიათ. **თავმჯდომარე.** პურის მხრივ ნაკლულევანება არ არის, მაგრამ არც ზედმეტი გვრჩება, რადგან ფქვილი აქედან პროვინციებში იგზავნება. შაქარი-კი ცოტაა, მაგრამ ამ დღეებში იმასაც მოველით. უფრო დაწვრილებით ამ საკითხს ქვემოდ შევეხებით, ხოლო საქმის მოწესრიგება საბოლაოდ ერთი კვირის შემდეგ გამოირკვევა, როცა სასურსათო თათბირი მოწყობილი იქნება.

(დასასრული იქნება)

# ქართულ ენის გარშემო

**(წერილი რედაქციის მიმართ)**

გული არ მითმენს ორიოდე სიტყვით არ მოგმართოთ, და თუ დაინახოთ ეს ჩემი მოწოდება ღირსად ყურადღებისა,—ინებეთ დასტამბოთ.

მე მინდა შევეხო ახლანდელ ქართულ მწერლობას, რომლის გასასწორებლად უკვე შემდგარა ესრეთ წოდებული „მართლ-მწერლობის“ კომისია.

პირველადვე, ეს სახელი „მართლმწერლობა“, (правописание) ქართულის დაჩვეულ სმენას ეჩოთირება. ამ ორთა შეერთებულ სიტყვაში 14 ასო შედის, რომელთა შორის უხმონი არიან ცხრა და ამა უხმოთა ერთმანეთთან გადაბმა შეჰქმნის რაღაცა ბრგუ გამოთქმას, რომელიც ეწინააღმდეგება

ქართულს მუსიკალურ ენას. მე ვფიქრობ, რომ კი მოიძებნებოდა უკეთ მოხდენილი სიტყვა, და სანამ ახალს მოიგონებდენ საჭირო იყო დიდი ძიება, ვინაიდან საეჭვოა, რომ აქამომდე ქართველ ერსა და მწიგნობართა არ ჰქონოდათ ტერმინი დამახასიათებელი უმცდარი წერისა. კიდევ მეორე ამ გვარივე სიტყვაა შემოღებული ჩვენ მწერლობაში; ეს სიტყვა არის „სოფლმხედველობა". ესეც ხომ როგორც პირველი პირდაპირ რუსულიდან არის ნათარგმნი, „міро-воззрѣніе". აქვე, არა თუ შეიძლებოდა უკეთესი თარგმნა, სრულიადაც არ სჭიროდა ქართულს ამ ტერმინის ხმარება; სულ სხვა ნაირად შეიძლებოდა განყენებულ მოფიქრებათა გადმოცემა. მაგალითად ფრანგულ ენაში არ არსებობს ტერმინი „міро-воззрѣніе" რადგანაც ძვირად შეხვდებათ მათ მწერლობაში საჭიროება ამ ტერმინისა და იტყვიან მხოლო: „la contemplation du monde", ანუ, „l' idèe universellê" სახელდობ ამა და ამ კაცისაო. ევროპიულს ენებზე, განყენებულის მოსაზრება მიაჩნიათ კუთვნილებად წარჩინებულ მეცნიერთა, პოეტთა და ბრძენთა, და არა ყოველი ადამიანისა. ჩვენ სულ სხვა აზრისა ვართ, ჩვენ გვგონია, რომ ყაჩაღსა ხვიტიას და არსენა დალაქსაც აქვთ თავიანთი „міровоззрѣніе" და ამიტომაც გახდა ტერმინის მოთხოვნილება მწერლობაში, რუსეთის გავლენით,—ევროპასაც გავასწარით.

ყოველს ენას მიჰნიჭებია თავისი, ასე ვთქათ,—ჯიშური თვისება, თუმცაღა შეიძლება, მიუხედავად ამისა, უფრორე განვითარება ენისა, შესაბამად დროთა პროგრესისა, მაგრამ ამას დიდის მოწიწებით, ცოდნით და სიფაქიზით სჭირია მოპყრობა, ვინაიდან არ გაირყვნას ჯიშური თვისება ენისა. —ხოლო, სხვათა ენიდან უხეშად თარგმნა სიტყვისა, და მიბაძვით გადმოლაგება სხვათა გონებრივი ვინაობისა, —შეადგენს სამშობლო ენის გადაგვარებისადმი მისწრაფებას.

გარდა ამისა ბევრი საბუთებია ენის გარყვნისა. ჩვენს მწერლობაში გაუქმებულია ქართული ასოები: ც, ჳ, ჲ, ჶ. ც საჭიროა ზოგან სიტყვების წესიერ გამოთქმისათვის, მაგ.: თქჳენ, ჩჳენ, ქჳეყანა... და სხ. ამის მაგიერ ახლა ვწერთ ვ—ე-ნს გამოთქმაში ქართული ნაზი კილო იკარგება და გამოდის тквенъ—чвенъ და სხვ...

მეორე ასო, ჳ, შესცვალეს ვ-ი-ზე. წინედ სწერდენ: შენთჳს, ჩემთჳს, ტჳრთი, ზჳრთი და სხ. ახლანდელ გამოთქმაში კი ისმის: шентвисъ, твирти და სხ. ასე ჳ, ქართულში ფრანგულ u-ს მაგიერობას ეწევა. ვსთქვათ სიტყვა „კჳრა"—ეს დაიწერება ფრანგულად მშვენიერი ქართული გამოთქმით,—Kura, ხოლო რუსულად კი დაიწერება квира, ე. ი. იმ გამოთქმით, როგორაც ახლა ჩვენც ვხმარობთ.

რუსულს ენაზე გამოზრდილი ყურისთვის, ამნაირი გამოთქმის შეცვლა დიდს განსხვავებას არ შეადგენს, მაგრამ ნება გვაქ ვიკითხოთ, რა გაჭირვებამ აიძულა ის პირები, რომლებმაც შესცვალეს და გადაჰყარეს ქართული ასოები? ალბად იმისთვის, რომ მოზარდ ყრმათა გაუადვილდეს ორთოგრაფიის შესწავლა! მაგრამ ეს მოსაზრება ყოვლად შეუწყნარებელია, ყრმათა ცოდნის გასაადვილებლად მცოდნენიც უვიცობაზედ დავაყენოთ! რაც უნდ მიზეზი ყოფილიყოს, ყოველ შემთხვევაში, ერთობ დიდი თავხედობაა ვინმემ, ან რავდენიმე პირმა,—აიღონ და გააუქმონ ათასი წლის წეს-კანონი მწერლობისა, ის კანონი, რომლის მეოხებით დაწერილან: ლოცვანი, ფსალმუნი, სახარება, დაბადება, ვეფხისტყაოსანი და სხ., რომელნიც სდგანან შეუცვლელ ბურჯად და საუნჯედ საქართველოს მწიგნობრობისა. ევროპიულ ენებზედაც წერაში ისეთი ასოებია, რომლებიც თითქო სრულიად საჭირო არ არიან, მაგრამ არავის აზრადაც არ მოუვა, რომ ის ასოები გააუქმოს.

ამას უნდა დაუმატოთ, რომ ახალ მწერლობაში ხმარობენ, ყოვლად უსაჭიროდ გამოგონილს და, ნურას უკაცრავათ,—სმენისათვის უშვერ სიტყვებს, მაშინ, როდესაც ეს სიტყვები ძლიერ სალად არსებობენ ქართულში. რას ნიშნავს ამ ნაირი მოვლენა? უმეცრებაა, თუ ფუტურიზმი? ამ უკანასკნელ სიტყვაზე გამახსენდა, რომ ეს ერთი ასო ჶ, ევროპიული, კი უნდა იქნეს შემოღებული ქართულში, რადგან ყოველს მსოფლიო ენაზე იწერება ეს ასო. საბა სულხანსაც აქვს ნახმარი ჶ. მით უმეტეს ეს საჭიროა, რომ უცხო სიტყვები და თერმინები, რომლებშიდა აწ ვსაჭიროებთ აუცილებლად ამას მოითხოვს. აუცილებლად მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამ საშუალებას უნდა მივმართოთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ როცა დასტურ ქართულად არ ითქმება აზრისა შინაარსი. ახლა კი, წამდა-უწუმ ხმარობენ უცხო სიტყვებს, თითქო ამით მკვეხრობენ „დახე რა ნასწავლი ვარო!". ქართული გაზეთები გაჟღენთილია კუპატსავით, უცხო სიტყვებით. ხშირად შეხვდებით ისეთს სიტყვათ შეწყობას, რომელშიაც შვიდს სიტყვაში ოთხი არ არის ქართული! აბა რა უნდა გაიგოს სოფლის კაცმა, ვისაც გარეშე ენები არ უსწავლია? ამასთან კიდევ, რასაცა წმინდა ქართულათ იტყვიან ამათშიაც აუარებელი შეცდომებია ზოგი ღრამატიული და ზოგიც ორთოგრაფიული. ეგებ დამწერს ჰგონია, რომ აგრე უნდა იყოს, მაგრამ ეგრე არ არის და არცა ყოფილა; ენის გარდაკეთებას თავი უნდა დავანებოთ! დიაღ, საჭიროა ვეცადოთ ჩვენ ენას შევსძინოთ, გავამდიდროთ და არა გარდავაშენოთ, გარდავაგვაროთ.

სამწუხაროდ, ერთი რამ თვისება ჩვენი უნდა აღვიაროთ: ყოველ დროსა სჩანს, ყოფილან ისეთი ვინმეები, რომელნიც ჰფიქრობდენ „ჩემი სჯობსო და უცილობლობდენ ვითა ჯორი". მაგალ.: ვეფხის ტყაოსანი ძლიერ გარყვნილია უცნობი ვინმეების ჩამატებული ლექსებით და დიდი შრომა დასჭირდათ შემდეგ, რომ ეს უკვდავი თხზულება ყალბისაგან განეწმინდათ. დღესაც, შეგვიძლიან კი დასაბუთებით დავრწმუნდეთ, რომ უმცდარადაა იგი ახალს გამოცემებში?. შემდეგ, ჩვენ დროშიც, ამ დიდებული მწერალის სურათიც კი გამოიგონეს, მაგრამ ეს კი არაა საკვირველი, რომ უმეცარს ვინმეს განუზრახავს რუსთველი წარმოედგინა ჩვენი დროის სამოსელით და მის ყიზილბაშურ ქუდში კალამი გარჭობილი. საკვირველი ის არის, რომ ქართველ საზოგადოებამ მიიღო ის როგორც ნამდვილი სურათი და გაავრცელეს კიდეცა!.

ამ გვარი მოვლენა სამწუხარო ნიშნებია და. თუ ქართველი ერი მთლად არ გარდაშენდა,—შთამოება და მომავალი ჩასთვლის ჩვენს დროს გონების უმწიფარ ხანად, რომელიც შეუნდობელი იქნება.

**გიორგი შარვაშიძე.**

# წერილი სამეგრელოდან

**კოოპერატიული მაღაზია და ჩვენი პარტიები.**

ვაჭრების თანამედროვე მადაგახსნილობამ, გაუმაძღრობამდა აშკარა მყვლეფლობამ გამოაფხიზლა ჩვენი უდარდელი ხალხი და ამ ბოლო დროს ყოველგან იხსნება კოოპერატიული დუქნები, მაღაზიები და არსდება მომხმარებელთა საზოგადოებანი.

ამ საქმეში ვითომდა არ ჩამორჩა სხვებს ჩვენი ზუგდიდიც.—დიდი ხანია, რაც აქ შესდგა მომავალ კოოპერატიულ მაღაზიის წევრთა სია, შეგროვდა საჭირო თანხა და მოწვეულ იქმნა დამფუძნებელი კრება, რომელზედაც უნდა არჩეულიყო გამგეობა... სწორედ აქ იჩინა თავი ჩვენმა ჩვეულებრივმა ცარიელ სიტყვების რახა-რუხმა და პარტიობამ: ს.-დ. და ფედ—ბს მოუვიდათ უთანხმოება გამგეობის წევრთა და მათი კანდიდატების არჩევაში და ეს მესამედ, დაიშალა კრება, უშედეგოდ და საქმეს კი არა ეშველა-რა.

საკვირველია, რა პოლიტიკური კლუბია კოოპერატიული დუქანი და რა მოსატანია აქ პარტიობა!

შაშვები წაიჩხუბნენ—მელამ პირი აივსოო.—სწორედ ასე სჭირს ჩვენს პარტიებს: ისინი ჩხუბობენ—ვაჭრები-კი ჯიბეს ისქელებენ.

**კაი.**

# პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

21 ქრისტეშობისთვეს ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება საღამო. საღამო თვით გიმნაზიის შენობაში გაიმართება.

**ჭიათურა.**

გიორგობისთვის განმავლობაში ჭიათურიდან გაუზიდნიათ 209 ვაგონი შავი ქვა' აქედა 70 ვაგონი გაუზიდნიათ ბალაჯარით, 139 კი ფოთით.

**ს. გურჯაანი.**

29 გიორგობისთვეს მოხდა გურჯაანის საკრედიტო ამხანაგობის კრება. კრებამ თავის წარმომადგენლები აირჩია თელავში კახეთის წვრილ კრედ. ამხ. კავშირის თათბირზე დასასწრებლად. ამასთანავე დაადგინა სახელმწიფო ბანკიდან სესხის გადიდების თხოვნა და რკინის გზის პირას ადგილის შეძენა, ამხანაგობის საწყობისათვის.

**ოზურგეთი.**

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ დაადგინა: იშუამდგომლოს მთავარ გამგეობის წინაშე, რათა დახმარება გადმოხვეწილთა გარდა, გაჭირვებულ მცხოვრებთაც მიეცეთ.

**გ ო რ ი.**

გორის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება ახლო მომავალში თავის ნივთიერს ქონებათა გასაძლიერებლად, სალიტერატურო სამუსიკო საღამოს გამართვას აპირებს.

— ცხრა ამთვეს გორში სომხები გამოქცეულთათვის ყულაბებით ფულს აგროვებდნენ.

— მალე გორში გაიხსნება სამხედრო ჰოსპიტალი და ლაზარეთი აფიცერთათვის, გორში კვერცხი მეტად გაძვირდა.

— ეხლა ფქვილი საკმაოდ აქვს გორს.

**ბ ა ქ ო.**

ბაქოს ქალაქის უფროსმა საშუალო სასწავლებლების უფროსთ წინადადება მისცა, სასტიკი თვალყური ადევნონ სკოლის გარეთ მოწაფეთა მოქმედებას და ცხოვრებას.

— თბილისის ოლქის სასამართლო პალატა ამ დღეებში ბაქოში არჩევს იმ პირთა საქმეს, რომელთაც 108 მუხლის ძალით სახელმწიფო ღალატი ბრალდებათ.

**სოფ. ვაჩნაძიანი.**

ვაჩნაძიანის საკრედიტო ამხანაგობის დახლიდარის თავად ჯანდიერის გამძარცველები და მღვდელ იოს. წუწუნაშვილის სახლზე თავდამსხმელნი აღმოჩნდნენ გამოქცეულნი ჯარისკაცნი: ნ. ხეჩოშვილი, ალექსი მეკოკიშვილი და თედო გულგარაშვილი.

**ლაგოდეხი.**

ამ სოფლის მცხოვრებნი ნ. საბაშვილი, ტერ-არუთინოვი და სხვები მეორე სოფელში მიემგზავრებოდნენ, გზად მათ შეიარაღებული ბოროტმოქმედნი დახვდნენ, სიკვდილით დაემუქრნენ, მგზავრებს 70 მან. ფული წაართვეს და მიიმალნენ.

**სოფ. ერედვი** (გორის მაზრა).

ამას წინად ადგილობრივ ოსებს ცხვრის ფარა და ძროხები მოეპარათ. მათ გზაზე შეხვედრიათ სოფ. ტყვიავის საერობო დარაჯი, რომელსაც მოწმობა მოუთხოვია, მაგრამ ოსები მისცვივნიან და დარაჯისთვის მძიმედ უცემნიათ. დარაჯს თავში სამი ჭრილობა აქვს. იგი ცხინვალში ჩამოიყვანეს.

**სოფ. იტრია** (ქართლი).

ამ სოფელში ძლიერ გახშირდა ქურდობა. ღამე არ გაივლის, რომელიმე მოსახლეს თავს არ დაეცნენ. მცხოვრებნი დიდად შეწუხებულნი არიან.

# წყალქვეშა ნავები

„ტაიმს"-ის ცნობებით. რაც კი რამ გემი დაღუპულა სადმე ამ ბოლო დროს, ყველგან წყალქვეშას ნამოქმედარია. მართალია ისე ბევრ-ბევრი გემები აღარ იღუპება ეხლა, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრ ამბავს განზრახ ჰფარავენ და არ ამჟღავნებენ.

თავდაპირველად გერმანელები სცდილობდნენ მოკავშირეთა ფლოტი იმდენად დაესუსტებინათ, რომ გასთანაბრებოდნენ მაინც. ამ მხრივ ცოტაოდენი რამ გააკეთეს, თუმცა არა სავსებით.

გერმანელებმა ვერც რუსეთის ფლოტის დამწყვდევა მოახერხა და სერჯელიკოს მეთაურობით იგი თავისუფლად ნავარდობს ზღვაზე.

ბოლო ხანებში გერმანელებმა წყალქვეშა ნავების სამოქმედო ასპარეზი გალიპოლის ნახევარ კუნძულისაკენ გადაიტანეს და ხმელთაშუა ზღვაში დაიწყეს თარეში, მოკავშირეთა სატრანსპორტო გემებზე თუმცა არსებით რამ მიზეზს აქ ვერ მიაღწია.

ამისდა მიუხედავად ეგეის ზღვაში მოკავშირეთა ფლოტი დიდ განსაცდელშია, რადგანაც აქ ბევრი გემები მიმოდის და გერმანელების წყალქვეშა ნავებს სანავარდო ასპარეზი ფართე აქვთ.

ბალტიის ზღვაში მოკავშირე ფლოტის მოქმედებამ შესაფერი გავლენა მოახდინა და გერმანელების თარეში შეაფერხა.

სერ სკოტტის აზრით, წყალქვეშა ნავების შიშით, დრედნოუტები მყუდრო და მიუვალ ნავთსადგურებში უნდა შეაფარონ, რომ დაღუპვას გადაარჩინონ. ის ქვეყანა, რომელიც წყალქვეშა ნავების საძებნად და სადევნად გემებს ჰგზავნის, ამ გემებს დაღუპვას უმზადებსო.

# სომეხთა ცხოვრება

ბაქოს სომეხ კაპიტალისტებმა საზოგადოება შეადგინეს, რომელის მიზანიც არის, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს სომეხთა სოფლებს. ხსენებულმა საზოგადოებამ ამას წინად თბილისის სომეხთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აუწყა, რომ იგი თავს იდებს ბაქოს და განჯის გუბერნიების სომხების სოფლებისთვის მიწოდებას და აგრეთვე ხეირიან სათესლის შოვნას.

**სომეხთა საკითხი ინგლისის პარლამენტში.**

ინგლისის პარლამენტის სხდომაზე დეპ. ა. უილიამსმა განაცხადა: აუცილებლად საჭიროა დავეხმაროთ გამოქცეულ სომხებს, რომელნიც ოსმალოს მახვილს გადარჩნენო. ირლანდიის ნაციონალ პარტიის ლიდერი ო-კონნორიც მიემხრო უილიამს და მთავრობას ფულით დახმარება სთხოვა გამოქცეულ - დარბეულ სომეხთათვის. ინგლისი ჰპირდება სომხებს: კიდევ წინადადებას მისცემს მესოპოტამიაში მომქმედ ლაშქრის სარდალს გენერალ ნიკსონს, რომ ყოველგვარი შესაძლო დახმარება აღმოუჩინოს ამ ოლქში გადმოსახლებულ სომხობას. სომხებს დიდი იმედი აქვთ აგრეთვე ამერიკის და შვეიცარიის მისიებისა, რომ ისინი სტამბოლში ბრწყინვალე პორტას პროტესტს განუცხადებენ, სომეხთა ჟლეტა-აწიოკების გამო.

# მაჰმადიანთა ცხოვრება

ალდაში ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას 10,000 საზამთრო მაზარა უყიდია გამოქცეულთათვის, მაგრამ დღემდის მის გადმოსატანად რკინის გზაზე ვაგონები ვერ იშოვა.

---

სხვა და სხვა ადგილებში მცხოვრებ მუსულმანთა მეჩეთებში შეგროვილმა ფულმა თვალსაჩინო ჯამი შეადგინა, ფული ამ მოკლე ხანში განაწილდება ომიანობისაგან დაზარალებულთ შორის.

---

საზ. „ნოჯათი"-ს კრებას მოიწვევენ მომავალ წლის 14 თებერვალს.

---

იმ მუსულმანების ოჯახობას, რომელნიც მოხალისეებად ჯარში წასულან! მთავრობის განკარგულებით დახმარება მიეცემათ.

---

ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებამ თავის რწმუნებული გაჰგზავნა ყარს-არდაგნის ოლქში, სადაც მცხოვრებნი უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებიან.

---

ყირიმის მაჰმადიანები დაზარალებულ თანამოძმეთა სასარგებლოდ ფულს აგროვებენ.

# რუსეთი

**გ. გ. ჩულკოვის აზრი.**

პეტროგრადის რელიგიურ-ფილოსოფიურ საზოგადოებაში ჩულკოვს მოხსენება წაუკითხავს: **„ეროვნული შეგნება და სარწმუნოება"**. მომხსენებლის აზრით, ამ საკითხის გადასაწყვეტად სამი გზა აქვს ადამიანს: ერთი უკვე ნაცადი გზა ეს—გაბატონებული მართლმადიდებლობაა; მეორე—სრული გულგრილობა სარწმუნოებისადმი, რასაც ადგია დღევანდელი ინტელიგენცია, რის გამოც იგი გათიშულია ხალხისაგან. მესამე გზა—ჩულკოვის აზრით —არის მსოფლიო ეკლესიის აღდგენა, რომლის გარშემოც თავს მოიყრის გაფანტულ-გათიშული ხალხი, გაერთიანდება და ზურგს შეაქცევს დასავლეთში სახელმწიფოებრივ უფლებით აღჭურვილს დღევანდელს ეკლესიას და აღმოსავლეთში სახელმწიფოს მიერ ჩანთქმულ ეკლესიასა და სარწმუნოებას".

**სანოვაგე.**

საბირჟო კომიტეტმა შინაგან საქმეთა მინისტრს ცნობა წარუდგინა, იმის შესახებ თუ რამდენი სანოვაგე იმყოფება პეტროგრადში: ჭვავი 755,581 ფუთი, ხორბალი 219,751 ფ. შვრია 193,164 ფ. ქერი 132,065 ფ. მუხუდო 184,812 ფ. სხვა და სხვა გვარი კრუპა 26,502 ფ. პურის ფქვილი 669,314 ფ. ჭვავის ფქვილი 1.045,180 ფ. საქონლის საკვები 187,415 ფ. ქატო 6,916 ფ. მარილი 79,080 ფ. მზე უჭვრიტას ზეთი 6,109 ფ. სელის ზეთი 96 ფ.

**მოჩვენება.**

ამ უკანასკნელ დღეებში ქ. ტაგანროგში ხმა გავრცელდა, თითქოს ღამღამობით მოჩვენება დადიოდეს ქალაქის ქუჩებში. მოჩვენება თეთრებითაა შემოსილი და არა ჩვეულებრივ სიმაღლისაა. მოჩვენების დანახვა თავზარსა სცემს ხალხს და ამ დროს კი მოჩვენება თურმე ჯიბეებს უსუფთავებს მათ. რამდენიმე დღის წინად მოჩვენებამ შემდეგი „სასწაული" მოახდინა: პოლტავის შესახვევში მიმავალ ნოქარს თავზე წაადგა, ნოქარს გონება დაეკარგა. როდესაც გონზე მოვიდა, დაინახა რომ მოჩვენებას წაეღო მისი პალტო, საათი და საფულე.

# უცხოეთი

**ი ს პ ა ნ ი ა**

ისპანიის პარლამენტში ოპოზიციამ მოითხოვა, ჯერ ფინანსიურ-ეკონომირი საკითხები განვიხილოთ, მერე სამხედროო. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფმა რომანონსენმა. მინისტრ-პრეზიდენტმა დატომ პალატას ნდობის გამოცხადება მოსთხოვა. პალატამ ეს წინადადება უარჰყო და მინისტრ-პრეზიდენტმა გამოაცხადა, სამინისტრო სამსახურს თავს ანებებსო. მეფე ალფონსმა კონსერვატორ დატოს ნაცვლად დემოკრატი რომანონსენი მიიწვია. გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა ნეიტრალობის მომხრე დე-ვილაუევი.

# ნ ა რ ე ვ ი

**კიდევ ახალი აღმოჩენა.**

ადამიანმა ხმელეთი მოიარა, ჰაერი დაიპყრო და დღეს ოკეანეში მიძვრება, რათა გაიგოს და სხვასაც გააგებინოს, თუ რა ჰხდება წყალ ქვეშ. ამ მოკლე ხანში ძმებს ვილიამრონებს გამოუგონიათ ახალი აპარატი კინემატოგრაფისა, რომელსაც უშვებენ ზღვის ძირში და იქ სურათებს იღებენ. აპარატი შესდგება ერთ გრძელსა და მოქნილ მილისაგან. მილი გაკეთებულია ფოლადის რგოლებისაგან, რომელსაც გარშემო წყალ-მიუკარებელი მატერია ახვევია. მილის ბოლო ნაწილი 5 ფუტამდე სიგრძე სიგანით განიერდება. ეს არის პაწია ოთახი, სადაც სურათების გადამღები აპარატი თავსდება. ერთის მხრით მეტად მკვიდრი ბინა აქვს გაკეთებული. მთელი ეს მოწყობილება 62 ფუთამდე იწონის. ჯაჭვით მობმულია გემზე. ოთახში ტელეფონია გემზე ცნობების მისაწვდენად. სურათების გადამღები ჯდება ამ პაწია ოთახში და უშვებენ ღრმა ოკეანეში. მას თან აქვს ელექტრონის ლამფა, რომელიც 2,500 სანთლის სინათლეს იძლევა. ამნაირად დღისით თუ ღამით, იმ სიღრმეზე, სადაც მზის სხივები ვერ სწვდება, სურათის გადამღები ანთებს ამ ელექტრონის ლამფას. ყველაფერი მის ირგვლივ ნათდება. დღესავით არის. სინათლე ოკეანეს ცხოველებს და თევზებს იზიდავს. ჩნდებიან წყალქვეშა სამეფოს სულდგმულნი და ცოცხალი არსებანი მეტად საკვირველნი და [illegible] გვგონებათ ზღაპრის სურათებს ჰხედავდეთ. სხვა ქვეყანაში გადასდიხართ, ხან განცვიფრებთ სანახაობა, ხან შიშის ზარს გცემთ და თმას ყალყზე გიყენებთ. გიჩვენებენ ჩაძირულ და დამსხვრეულ გემებს. შიგ მოტანებულ გვამებს და ათასნაირ საშიშროებას.

# წერილი რედაქ. მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაადასტუროთ, რომ თქვენის პატივცემულ გაზეთ „საქართველოს" მე-152 №-ში მოთავსებულ წერილის არაგვის პირიდან (დუშეთის მაზრა) „არაგველი გლეხისა" და 153 №-ში— „აუტანელი უბედურება" „ეკალისა" ავტორი ჩვენ არ გახლავართ.

გრემის ხევის წმ. მარინის ეკლესიის მღვდელი **კ. კავკასიძე.***)

# რედაქციისაგან

**საჭიროდ მივვაჩნია გამოვაცხადოთ, რომ ჩვენს გაზეთში მოთავსებული წერილები „ქართლელის" ფსევდონიმით შალვა ქარუმიძეს არ ეკუთვნის.**

*) რედაქცია ამოწმებს, რომ ზემოხსენებული წერილები მღ. კ. კავკასიძეს არ ეკუთვნის.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

**სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.**

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Красного Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბაქოდან. | 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. | საღ |
| № 5 ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. | დილ. |
| „ საღ. | 10 ს. 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. | დღ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა დ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისკენ გამოდის დილის. | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9,. ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება" ა. კილანდაძისა, გაზეთის შესახვევი 4. №